



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 615

“ 22 ” ნოემბერი 2024 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონი მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის №314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 ნოემბრის №24.1855.2084 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონი მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის №314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01241345287-67 (01241922026-67; 01242422862-67; 01242671-67; 0124275925-67; 012427739-67; 01242922959-67; 01242983328-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1855.2084
7 / ნოემბერი / 2024 წ.

„ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 13 მაისის N01241345287-67 (01241922026-67; 01242422862-67; 01242671-67; 0124275925-67; 012427739-67; 01242922959-67; 01242983328-67) განცხადებით მიმართა ირაკლი ჩიქავამ (პ/ნ 19201119189) და მოითხოვა „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონი მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბაგრატ III ქუჩა N25; N25ბ; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.07.007.094; N01.10.07.007.078; N01.10.07.007.093; N01.10.07.007.143). საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 7 333 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონი მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N314 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.



„შპს „ქოზი ჰოუმ თბილისი“ (ს/ნ 406228283) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა №25ბ (ს/კ: N01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N461 განკარგულების შესაბამისად მოხდა კოეფიციენტის გადამეტება და განისაზღვრა მისი სექტორებზე გადანაწილების პირობები: “1. მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება კ-2- 13.75-მდე, ამასთან, N01.10.07.007.093 მიწის ნაკვეთზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის გაცემა უნდა მოხდეს კ-2-7.3-ით, არაუმეტეს კ-2 საანგარიშო ფართის 23 050 კვ.მ-ის ფარგლებში. 2. ს/კ: N01.10.07.007.094 საკადასტრო კოდის რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს დაემატოს კ-2-ის საანგარიშო ფართი არაუმეტეს 2900 კვ.მ ოდენობით;”

აღნიშნულის შესაბამისად, დაკორექტირდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის N117 განკარგულებით და ცვლილება შეეხო N01.10.07.007.093 და N01.10.07.007.094 საკადასტრო ერთეულებს.

მიწის ნაკვეთი პირობით N1 (ს.კ 01.10.07.007.093)

ფართობი 3 160 კვ.მ

კ-1=0.5 (1 700კვ.მ)

კ-2=7.3 (23 050 კვ.მ)

კ-3=0.3 (950 კვ.მ)

მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა - 18 სართ;

ავტოსადგომების აუცილებელი მინიმალური რაოდენობა - 128;

მიწის ნაკვეთი პირობით N2 (ს.კ N 01.10.07.007.094)

ფართობი 2678 კვ.მ

კ-1=0.5 (1 456 კვ.მ)

კ-2=3.6 (9 706 კვ.მ)

კ-3=0.3 (803კვ.მ)

მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა - 8 სართ;

ავტოსადგომების აუცილებელი მინიმალური რაოდენობა - 54;

N01241345287-67 (01241922026-67; 01242422862-67; 01242671-67; 0124275925-67; 012427739-67; 01242922959-67; 01242983328-67) განცხადებით წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, გაერთიანდა N3 და N4 სექტორი და მასზე შეიცვალა დაგეგმილი შენობა-ნაგებობის

სართულიანობა და კონფიგურაცია. ცვლილება აგრეთვე განიცადა N1 და N2 სექტორზე მდებარე შენობა-ნაგებობებმა, სართულიანობის ნაწილში.

ვინაიდან, განხორციელდა არსებითი ცვლილება, პროექტით დაცულია კ-3 კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებელი. ავტოსადგომების ადგილების ოდენობა დადგინდება განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად და ისინი გათავსდება მიწისპირა და მიწისქვედა დონეზე.

ჩამოყალიბდა სამი საკადასტრო სექტორი, რომელთათვისაც განისაზღვრა შემდეგი ქალაქგეგმარებითი პარამეტრები:

ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)

სექტორი #1

კ1-----0,5-1700

კ2-----7,3-23 050

კ3-----0,3 -820

(მიწისზედა- 13-20 სართ; მაქს. სიმაღლე: 70მ)

სექტორი #2

კ1-----0,5-1456

კ2-----3,6-9706

კ3-----0,3 -803

(მიწისზედა- 8-9 სართ; მაქს.სიმაღლე: 30მ)

სექტორი #3

კ1-----0,7 -1100

კ2-----13,3 -19 880

კ3-----0,3 - 449

(მიწისზედა- 20 სართ; მაქს.სიმაღლე: 70მ.)

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას,

დაგვემარებოთ ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის N01242954703 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 22 ოქტომბრის N0124296331 წერილის შესაბამისად, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონი მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01241345287-67 (01241922026-67; 01242422862-67; 01242671-67; 0124275925-67; 012427739-67; 01242922959-67; 01242983328-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრორაიონი მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N314 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01242954703
თარიღი: 21/10/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 18 ოქტომბრის №01242922959-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ:01.10.07.007.078, 01.10.07.007.143; ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საპროექტო ფუნქციური ზონა: სზ-6) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საქეპერტო დასკვნაში, საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **4 ძირი (ს.კ:01.10.07.007.143 - №1, №2, №3, №4)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (საპროექტოდ დასარგავი: **სექტორი №3 - 12 ძირი** კავკასიური ნაძვი, **14 ძირი** მინდვრის ნეკერჩხალი, **ჯამში - 26 ერთეული**) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**სზ-6 = 0.3 = სექტორი №3 - 449 მ²**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0124296331

თარიღი: 22/10/2024

2024 წლის 18 ოქტომბრის N 01242922959-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დილოში, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.10.07.007.093, 01.10.07.007.094, 01.10.07.007.078, 01.10.07.007.143) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

ინკვევა, რომ დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ავტობუსების გაჩერება მისაწვდომობის ფარგლებშია (250მ) და გააჩნია რეზერვი. ამავ დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია (არჩილ მეფის ქუჩა) მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). მიმდებარე ქუჩებზე განახლება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

საქვეითე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორიის ნაწილს ტროტუარი არ გააჩნია, თუმცა არსებული გზის პარამეტრები იძლევა მათი მოწყობის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზეც რეკომენდებულია ტროტუარების, პანდუსებისა და საქვეითე გადასასვლელების მოწყობა, განახლება. აღნიშნული მდგომარეობა განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

შესაბამისად, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის დაგეგმილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი




ბარიბორის გარეგნული სასაზღვრო დაზღვევის (საქობრებად დაყოფის) სქემა

3-2
 მასშტაბი:
 1:1000

პროექტი N 108/2020
 სასაზღვრო დაზღვევის
 სქემა

პროექტი N 108/2020

საპროექტო დაზღვევის
 გარეგნული სასაზღვრო დაზღვევის
 სქემა



საქობრი	ფართობი	31	32	33	მომსახურების საჭიროება	მომსახურება	ფუნქციონირების უნიტი	ბარიბორის სასაზღვრო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის სასაზღვრო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის სასაზღვრო დაზღვევის უნიტი
საქობრი N1	3160	0.5	0.5	0.1	0.3	3 ადამიანი 2 სალონი	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი
საქობრი N2	2678	0.5	0.5	0.1	0.3	3 ადამიანი 13 / 14 სალონი 20	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი
საპროექტო დაზღვევის უნიტი	1.495	0.5	0.5	0.1	0.3	3 ადამიანი 13 / 14 სალონი 20	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი	საპროექტო დაზღვევის უნიტი

საკრონაგბო ფუნქციური ზონირება

3-2

კვანძოვანი:

ჰიროზონთი ნიშნები

- საკრონაგბო ზონა 6 (სა-6)
- საკრონაგბო ზონა 2 (სა-2)
- საკრონაგბო ზონა 1 (სა-1)
- საკრონაგბო ზონა 2 (სა-2)

განიმარკება

საპროექტო მუშაობის სახელი: **საკრონაგბო ფუნქციური ზონირება**

საპროექტო მუშაობის ავტორი: **საკრონაგბო ფუნქციური ზონირება**

საპროექტო მუშაობის თარიღი: **2000**

საპროექტო მუშაობის ადრესი: **საკრონაგბო ფუნქციური ზონირება**



საბლოტი	ფართობი	31	32	33	მიმდებარე მდებარეობის აღწერა	ფუნქციური ზონა	საპროექტო მუშაობის სახელი	საპროექტო მუშაობის თარიღი	საპროექტო მუშაობის ადრესი
საბლოტი N1	3160	0.5	2.5	7.3	0.1	0.3	საკრონაგბო ფუნქციური ზონა 6	2000	საკრონაგბო ფუნქციური ზონირება
საბლოტი N2	2678	0.5	2.5	3.6	0.1	0.3	საკრონაგბო ფუნქციური ზონა 2	2000	საკრონაგბო ფუნქციური ზონირება
საბლოტი N3	1495	0.5	2.5	3.6	0.1	0.3	საკრონაგბო ფუნქციური ზონა 1	2000	საკრონაგბო ფუნქციური ზონირება

